

ინფორმაცია გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებლების საყურადღებოდ:

- განაცხადი უნდა შეივსოს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით
- გადამცემ ქსელზე მიერთების განაცხადის მიღების (ხარვეზის არარსებობის) შემთხვევაში გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია „ქსელის წესების“ №10 დანართით განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს მაძიებელს შეთავაზება მიერთების შესახებ, რაც შედგება ტექნიკური პირობისგან, მიერთების ხელშეკრულების პროექტისგან, მიერთების სავარაუდო თარიღებისგან და გადამცემ ქსელზე მიერთებისთვის გადასახდელი მიერთების მეორე ეტაპის საფასურისგან. აღნიშნულ ვადაში მიერთების შესახებ შეთავაზების წარუდგენლობის შემთხვევაში გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია დააბრუნოს გადახდილი მიერთების პირველი ეტაპის საფასური.
- მიერთების უზრუნველყოფის პირველი ეტაპის ვადის გაშვება არ ათავისუფლებს ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატს მიერთების შეთავაზების ან დასაბუთებული უარის წარდგენის ვალდებულებისგან.
- მიერთების მაძიებელს უფლება აქვს მიერთების შესახებ შეთავაზების მიღებიდან 3 თვის ვადაში მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, შეთავაზება და ტექნიკური პირობა ავტომატურად უქმდება.
- მიერთების საფასურის მეორე ეტაპის ოდენობა დამოკიდებულია მოთხოვნილ ძაბვის საფეხურზე და გაცემულ ტექნიკურ პირობაზე.
- მიერთების საფასურის მეორე ეტაპი მიერთების მაძიებელმა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, ან მხარეებმა უნდა გააფორმონ შეთანხმება მიერთების მეორე ეტაპის საფასურის განწილვადების თაობაზე.
- გადაცემის ლიცენზიატს უფლება აქვს არ დაიწყოს სამუშაოები, სანამ არ იქნება გადახდილი მიერთების მეორე ეტაპის საფასური, ან გაფორმებული შეთანხმება საფასურის განწილვადების თაობაზე.
- 6-10 კვ ძაბვაზე განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატს.
- 500, 400, 330 კვ და 6-10 კვ ძაბვაზე მიერთების საფასურის მეორე ეტაპის გამოთვლა ხდება გადაცემის ლიცენზიატის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.